ეს ზომიერები იგივე არიან, რაც რუსეთში მემარჯვენ იქტომბრისტები. მათი ტაქტიკაც და პროგრამაც ძლიერ გვანან ერთმანეთს.

სერდარ-ასადამა, მიიღო თუ არა სამხედრო მინისტრის

ამასთანავე, ჩქარა ყველა მემარცხენე პარტიები შეკავშირდებიან ეითიღალიონთან საბრძოლველათ და პარლამენტში მომქმედი ფაქტურები გამოაცხადებენ თავის პროგრამებს.

სიმართლეს მოკლებულია რუსეთისა და ინგლისის
წყაროების ცნობა გერმანიის ბანკის წარმომადგენელის
მოქმედების შესახებ (ზის დიდი თვალები აქვს!). უკა-
ნასკნელს თეირანში ჯერ არავითარი კონცესია არ უთ-
ხოვია და არც ფული შემოუძლევია სესხათ.

და თუ საქმე იქამდე მივიღა, რომ სპარსეთმა გერმანიას მიმართა ოდესმე, ამაში ბრალი უღევთ უპირველესათ ყოვლისა თვითონ ინგლისა და რუსეთსაც.

რა ხეირი ნახა დესპოტიზმთან ბრძოლით დაქან-
ცულმა სპარსეთმა ინგლისსა და ოუკეთთან დაახლოვე-
ბით? პირველი მათი საჩუქარი ის იყო, რომ სპარსეთი
აიძულებს, ყოველ-თვეურათ 100 ათასი თუმანი ეძლია
სპარსეთის ყოფილ შახისათვის.

მამებ-ალი-რასეულ-ტავე.*

თეირანი, 1 მაისი.

၁၁၂၁၂၀၃၆၈၅.

III

საშინლათ სჯილენ უმუშევრებს საშუალო საუკუნო-
ებში, მაგრამ არც შემდეგ ისტორიულ ხანაში ეპყრობო-
ლენ მათ ეფურო აღამიანურათ. პრიქით, მანუფაკტურუ

*) წერილის აკტორი სპარსეთში კარგათ ცნობილი მოღვაწე და გაზიერ „ირან-ნოვ“-ის რედაქტორია.

ლი წარმოების შექმნასა და ოღონძინებას ინგლისში თან
მოყვა უმუშევართა წინააღმდეგ გამოცემული კანონების 365 ლეი
უფრო სიმკაცრე და სისახტიკე. თუ უწინდელ ჭრის შემთხვევაში
სახელმწიფო კოტა რამ ღონეს მაინც ხმარობდა უმუშევ.
რობასთან სარძოლველათ და უმუშევართა რიცხვის შე-
სამცირებლათ, ახლა კი ინგლისში ხელოვნურათ ქმნდენ
უმუშევართა მთელ ლეგიონებს და მერე მათ წინააღმდეგ
უსაშინელეს საჯელს იგონებდენ.

სამწუხაროთ, ყოველკვირეული გაზეთის ფურცლებზე ჩენ არ შეგვიძლია მკითხველს დაწვრილებით ველა-პარაკოთ ამ საგანზე და დალაგებით გავაცნოთ მიწის პატრონი ინგლისელი გლეხების ძალით გაპროლეტარებისა და გაღატაკების პროცესი. ეს შესანიშნავთ აქვს აწერილი კარლ მარქსის თავის უკუდავ „კაპიტალის“ პირ-ველ ტომში, რომელზედაც მიუთითებთ უფრო მომზადებულ მკითხველს. ჩენ კი იძულებული ვართ მხოლოდ გაკვრით შევეხოთ ამ საგანს.

მე XVI საუკუნის დასაწყისში ინგლისის ლორდებმა, რა დაინახეს, რომ მატყლის ფასში აიწია და მიწის დალაზე უფრო სასარგებლო მეცხვარეობა არისო, ძალით მოვლიჯეს შიწას 500,000 მესაკუთრე მიწის მუშა; წაართვეს მათ მიწები და თავისუფალ პროლეტარებათ გადააქციეს. მარქსი ამას სამართლიანათ უწოდებს ლორდების მიერ მოხდენილ რევოლუციას, ისეთ რევოლუციას, რომელიც ზემოადან გაბატონებულმა კლასებმა მოახდინეს.

სად უნდა წასულიყო ამდენი უმიშაწყლო უმუშევა-
რი ხალხი? მეტი რა გზა იყო, მათ ქალაქისკენ უნდა მი-
ემართათ. მაგრამ რაკი საქმეს აქაც ვერ პოულობდებ, ძა-
ლა-უნგბურათ მათხოვრობისათვის, ქურდობისა და ძარც-
ვა-გლეჯისათვის უნდა მიეყოთ ხელი.

სამაგიეროთ, არც ამ დროინდელმა კანონმდებლობაში იცოდა, რა იყო შებრალება დამნაშავეთათვის. მარტო გენერის მე-VIII-ს მეფობის დროს (1509—1547 წლები), პროფესორი ადლერის მოწმობით, ინგლისში სიკვდილით დასაჯეს 72.000 კაცი მხოლოდ ქურდობისა და ისეთი მცირე დანაშაულობისათვის, რისთვისაც ახლანდელი სამსაჯულო მხოლოდ შვიდი დღით დაბატიმრებას თუ მიუსჯის ხოლმე დამნაშავეს. ეს ქურდობის წინააღმდეგ კანონის სიმკაცრე გენერალურათ აქვს აწერილი თომა მორს თავის შესანიშნავ თხზულება „უტოპიაში“. ასე სასტიკათ დევნიდენ უმუშევრობასა და მის მიერ გამოწვეულ დანაშაულს იმ გენერის მერვის მეფობის დროს, რომელიც სხვა მის წინამოადგილე მეფეებზე უფრო გულკეთილი იყო და რომელიც თავის მეფობის პირველ წლებში თვითონაც ძალიან ესაჩილებოდა გლეხებს, რადგანაც ხედავდა, რომ ლორდების თავგასულობა და „ცხოვრებისათვის ადამიანების მსხვერპლათ მიტანა“ მიეღლ ინგლისს დაღუპვის უქალით.

ინგლისის იმ დროინდელი კანონმდებლობა ისე
უცქეროდა უმუშევრებს, როგორც თავის სურვილით დამ-
ნაშავებს (какъ на добровольныхъ преступниковъ), რო-
მელთაც ვითომ არ უნდოდათ წარმოების ძველ პირობებ-
ში მუშაობა და იმას კი არავინ კითხულობდა, რომ ეს
ძველი პირობები უკვე აღარ არსებობდა. მოხუცებულებს,

რომელთაც მუშაობა არ შეეძლოთ, სამათხოებრო მოწმობას აძლევდენ. ჯანსაღი უზუშევრებისათვის კი, რომელთაც კანონი მხოლოდ გაწანწალათ სთვლილა, მხოლოდ როზგი და სატესალო არსებობდა.

ვისაც კი უსაქმოთ დაიკურდენ, იმას მიკრავდენ სა-
მუშაო ტახეას, გაატიტვლებდენ და იმდენს სცემდენ
ძობზეს, სანამ სისხლიდან არ დაწრეტდენ. შემდეგ ამ ნა-
ხევრათ მკვდარ აღამიანს დააფუცებდენ, პირობას ჩამოარ-
თებდენ, რომ უმუშევრათ ხეტიალს თავს დავანებებოთ
„სამშობლოში“, ან იმ ქვეყანაში ისტუმრებდენ, სადაც
სამი უკანასკნელი წელი გაეცარებია.

ରା ସାହିତ୍ୟଲକ୍ଷ୍ୟରେ! ରା ସାହିତ୍ୟରେ ଫାତୁମା!

სად ქონდათ ამ უბეღლურებს სამშობლო? იმათ ხომ
მხოლოდ იმატომ დაიწყეს მაწანწალობა, რომ ლორდებ-
მა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა „სამშობლო“ წართვეს,
რომ მიწა-მამულზე ხელი ააღებინეს?

თუ ასეთ უმუშევარს მეორეჯერ დაიკრძლენ, არჯერ
მეტ სასჯელს მიაყენებდენ. თუ მესამეჯერ ჩაიგდებდენ
ხელში, უცველათ სიკვდილით დასჯიდენ, როგორც სა-
შინელ ავაზაკსა და საზოგადოებრივი წეს-წყობილების
მტკრს.

ასეთი იყო იმ დროს ინგლისში უმუშევართა კანონი. მაგრამ ინგლისს არც სხვა მაშინდელი განათლებული სახელმწიფოები ჩამოუვარდებოდენ უმუშევართა წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთში 1777 წლის კანონით, თუ ჯანსალი მამა-კაცი ექვსი თვის განმავლობაში უმუშევრათ დარჩებოდა, კატორდაში უნდა გაეგზავნათ... არც იმ დროინდელი ევროპის განათლებული სახელმწიფო პოლონეთი ეპირობოდა უფრო ადამიანურათ უმუშევრებს. აქ კანონის ძალით მათხოვრები, როგორც დედა-კაცები, ისე მამა-კაცები, ვალდებული იყვნენ პოლიციისთვის წარედგინათ ექიმების მოწმობა, რომ ისინი მართლაც პეტროვნები იყვნენ და მუშაობა არ შეეძლოთ. ვინც ასეთ მოწმობას ვერ წარადგენდა, ის პოლიციას უნდა დაეჭირა, თუ რომ ფული ან სხვა რაიმე ნივთი აღმოაჩდებოდა, წაერთმია, ოთხი კვირით ციხეში დაემშევდია, მერე უნდა გაეგზავნა საზოგადო სამუშაოზე და ყოველ კვირაში ერთხელ, პარასკეობით, ორმოცდათი როზგი დაეკრათ.

ასე სასტიკათ ეპყრობლდენ უმუშევრებს ძველათ.
ძღვიერნი ამა ქვეყნისანი თვითონ ართმევდენ მათ სარჩო-
საბადებელს, თვით ყრიდენ უმუშევრათ და შემდეგ სა-
ღრჩობელაზე გზავნიდენ.

IV

თანამედროვე კულტურული სახელმწიფოები ძალიან
შორს გასცილდენ საშუალო საუკუნოების სახელმწიფო-
ებსა და მათ მკაცრ კანონებს. ჩვენი დრო მარტი თო-
თქლისა და ელექტრონის დრო როდია, ის ჰუმანიური
და კაც-მოყვარების იდეების ქადაგების დროც არის.
მაგრამ, სამწუხაროთ, ეს კარგი თვისება ჩვენი დროისა
მხოლოდ ამა ქვეყნის ძლიერია, მხოლოდ მდიდართა გა-
სართობი საქმეა. ეს იდეები ჯერ ცხოვრებაში ვერ პოუ-
ლობენ ნიადაგს, ღარიბ-ღატაკთათვის ის მოუწლომელია.
თუ ქველი საბერძნებისა და შრომის ბატონობის დროს

უმუშევრები ნახევრათ მშვირები იყვენ, იმ დროს მათ
ერთი დიდი განძი მაინც ჭიანდათ: ეს იყო ქალაქის ტერიტორია და ამ უფლება, რომლითაც ისინი იყვენ აღმატებულის და კარგი რომლითაც ისინი ვაჭრობდენ. დღევანდელი უმუშევრები კი ასეთ პოლიტიკურ უფლებასაც მოკლებული არინ. მართალია, დღეს ადამიანებს არ, ხოცავენ იმიტომ, რომ მათ სამუშაო ვერ იშოვნებს, მაგრამ, სამაგიეროთ, ამ უმუშევრებს ხოცავენ და დევნიან, როცა ისინი იძულებული ხდებიან არსებული კანონების ფარგლებიდან გამოვიდენ. ეგ კი სულ ერთია...

ჩვენს დროში, როცა შრომა უბრალო, უსულო ნივთს
გაუთანასწორეს, რა თქმა უნდა, რომ ამ შრომის პატრონ
მუშასაც ისეთი თვალით უყურებენ, როგორც უსულო
და უგულო მანქანას...

ჩვენი დრო საწარმოო ტექნიკის განვითარების ხა-
ნაა. ეს ტექნიკა თანდათან წინ მიღის; იგი ყოველ დღე
ახალსა და ა'ალ მანქანას იგონებს და წარმოებაში შეაქვს.
ამას თან მოსდევს წარმოების პროგრესიც. მაგრავ ის, რაც
ერთი კლასისათვის სიმღიდეებსა და ბელნიერებას მოასწა-
ვებს, მეორე კლასისათვის მხოლოდ უბელურების მომა-
სწავებელია. ასევე ხდება ამ შემთხვევაშიაც. საწარმოო
ტექნიკის წინსვლა და ახალ-ახალი საწარმოო მანქანების
გამოგონება აბელნიერებს მღიდარ კლასს, რომელსაც ამ
წარმოების მანქანის ყიდვა და დასაკუთრება შეუძლია.
სამაგიეროთ, ულუკმა-პუროთ სტოკებს და ქუჩებში იგ-
დებს მუშების ნაწილს.

„ახალი მანქანების გამოვლენებას დიდი ზარალი მოაქვს მუშებისათვის. საქონი მანქანის „ring“-ის გამოვლენებას და ლანკაშირის ფაბრიკებში მის შემოღებას თან მოყვა ის გარემოება, რომ ჯანსაღი, მაგრამ შიმშილისა-გან ძალა-მიხდილი აღამიანები ძლიერს დალასლასობენ ქუჩებში. მათ სახეზე აღბეჭდილია მუდმივი შიმშილი, სი-ლატაკე. ისინი უმუშევრები არიან; ამ მანქანამ განდევნა მათი შრომა ბაზრიდან და მათი აღგილი სუსტ დედა-კა-ცებსა და უსუსურ ბალლებს დაულოცა. ეს ჯანსაღი მამა-კაცებიც იძულებული არიან დაჯერდენ იმ ორ გროშს, რომელსაც მათი ცოლები და შეილები იღებენ შრომის ფასათ. ეს მანქანა სულაც არ საჭიროებს დიდი, ღონიერი მუშის შრომას. იმას ბალლიცა ადვილათ ამუშავებს და მას-ზე მუშაობაც ისე ადვილია, რომ ბავშვებიც ნახევარი საათის განმავლობაში სწავლობენ“. (იხილე გობსონი: „Проблемы бедности и безработицы“, стр. 150).

„Проблемы обности и соревнований”, стр. 180).

საზოგადოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უმც-
შევართა რიცხვის გამრავლებაზე ახალი მანქანების შემო-
ლებას, ეს ცხადთ დაგვანახვა პ. შეფტომ, ყოფილმა თავ-
მჯდომარემ მუშათა კავშირის კონგრესისა, რომელიც
მოხდა ბრედორდში 1888 წელს. „წარმოების ტეხნიკის
გაუმჯობესებამო, — განაცხადა მან; — ათი მუშიდან ცხრა
უმცშევრათ და უსაქმოთ დასტოვა და ქვეყნისათვის მცტ
ბარგათ გახადათ. შუშის ბოლოების წარმოებაში მანქა-
ნის შემოლებამ ექცი მუშიდან ხუთი უმცშევრათ დას-
ტოვა; ახლათ გამოგონებული წალების მანქანა ერთი მუ-
შის ხელმძღვანელობით აკეთებს იმას, რასაც უწინ ხუთი
მუშა ძლივს აკეთებდათ“. შეფტოს გამოკლევით, ორ-

მოცი წლის განმავლობაში წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებამ და მანქანების შემოღებამ ყველა მუშების 40% უმუშევრათ დასტოვაო.

რომ ახალი მანქანების შემოღება წარმოებაში აუცილებლათ იწვევს მუშათა რიცხვის შემცირებას და უმუშევრაზე გამრავლებას, ამის უტყუარ საბუთებს ჩვენ ვხედავთ ყოველ გაუმჯობესებულ წარმოებაში. ავილოთ გაუმჯობესებული მანქანის შემოღება სტამბებში.

დიდი ხანი არ არის შას შემდევ, რაც ახალი ასოთამშეცობი მანქანა (ნაბირჲა მაშინა) გამოიგონება და წარმოებაში შემოიღეს. მერე რა შედევი მოყვა ამას? ეს კითხვა აქვე, ჩვენს ქალაქში შეგვიძლია შევისწავლოთ.

თფილისში ასეთი მანქანა მხოლოდ ერთათ-ერთია „ტიფ. ლისტოკის“ რედაქტირაში. უჭინ ამ გაზეთის აწყობაზე თუთხმეტი კაცი მუშაობდა. ახლა კი ამ მანქანაზე მუშაობს ოთხი კაცი. სად წავიდა ეს თერთმეტი მუშა? ახალმა მანქანამ მათი შრომა მეტ ბარგათ გამოაცხადა და ქუჩებისკენ გაისტუმრა ისინი. მერე რა მოყვა ამას შედევათ? ის, რომ ამ თერთმეტმა კაცმა გაადიდეს ისედაც დიდი ბანაკი უმუშევრათ; ისინი თვითონაც სიმშილს განიცდიან და იმ მუშებსაც, რომელიც ჯერ კიდევ მუშაობენ ამ წარმოების ძეველ ფორმებში, ძველ სტამბებში, სამუშაო ფასი ერთი-ორათ დაუწიოს. ეს ფაქტია, რომლის სინამდვილეც ყველას, ყოველ წუთში შეუძლია შეამოწმოს.

აიღეთ ახლა ტელეფონების შემოღება. ამ შესანიშნავმა გამოგონებამ შეძლება მისცა ყველა საქმის კაცს თავისი კაბინეტიდან ელაპარაკოს ვისაც კი უნდა და ისე აკეთოს თავისი საქმეები. მისთვის უზეტეს შემთხვევაში საჭირო არ შეიქნა საქმის კაცებთან პირადათ მოლაპარაკება, ეტლითა და ტრამვაებით მოგზაურობა... ამ რიგათ, ტელეფონის შემოღებამ ყელი გამოსკრა მეტლებს, მათი შემოსვალი ერთი სამათ და ოთხათ შეამცირა, რასაც თვით მეტლეთა რიცხვის შემცირება და უმუშევრათა ბანაკის გადიდება მოყვა.

ესა და სხვა ამგვარი მაგალითები ცხადათ გვიმტკიცებენ იმ აზრის სინამდვილეს, რომ წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებასა და ახალი მანქანების წარმოებაში შემოღებას თან მოსდევს უმუშევრათ რიცხვის გამრავლებაც. ამიტომაც არის, რომ უმუშევრობა იქ უფრო მეტი და საგრძნობელია, სადაც წარმოების ტეხნიკა უფრო განვითარებულია, სადაც კაპიტალიზმის განვითარება უფრო მაღლა სდგას.

რა თქმა უნდა, წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესება ქმნის და ავითარებს წარმოების ახალ დარგს, აჩენს მუშებისთვის ახალ სამუშაო სფერას; მაგრამ რა სარგებლობა აქვს თფილისის უმუშევრათ დარჩენილ ასოთ-ამშეცილებს იმიდან, რომ სადაც ინგლისში ან აშერიკაში ასოთ-ამშეცობი მანქანები გამოიგონება და ამ ახალ მაშინების კეთებაზე მუშები შრომის ფასს იღებენ? მაგრამ თუ კითხვა სხვა მხრიდან მოულით, თუ საქმეს შევხედავთ არა ამა თუ იმ იღვილების მუშების ინტერესების მიხედვით, არამედ მთელი ქვეყნის მუშათა ინტერესების მიხედვით, მაინც უძველათ დავინახავთ, რომ წარმოების

ძველ ფორმებში მუშების უფრო ბევრი რიცხვზე შექმნავთ და, ვიდრე ახალ ფორმებში.

სტატისტიკა, რომელმაც პოეზია და ოცნებობა არ იცის და, რომელიც თავისთავათ არასოდეს არ სცდება, გვიმტკიცებს, რომ 50 მუშას ახალი საქმოვა მანქანების საშვალებით შეუძლია იმდენი ქსოვილები დამზადოს, რამდენის გაკეთებაც ასი წლის წინათ შეუძლო მთელი ლანკაშირის მუშებს.**)

ლ. ლევის გამოკვლევიდან ვიცით, რომ ის ნაქმვები, რაც ახლა ინგლისში მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ახალი საქმოვა მანქანების საშვალებით კეთდება, ხელითა და ძველი წარმოების ტეხნიკით რომ გაკეთდეს საჭიროა ასი მილიონი მუშის შრომა.

შრომის იარაღის გაუმჯობესება იმ მხრითაც საყურადღებოა, რომ მან მეტათ გამოაცხადა ძლიერი მამაკაცის შრომა და მისი ადგილი უძლურ დედა-კაცებსა და უსუსურ ბალდებს დაულოცა.

ასეთია უმუშევრაზე რიცხვის თანდათან გამრავლების ერთი მიზეზთაგანი. სხვა მიზეზებზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

3. გალიიშვილი.

ბ. რობაქიძის სალიტერატურო საღამია და ი. გომარის გამოსკლის გამოსკლი.

ბ. გრ. რობაქიძის მიერ 8 მაისს ქართულ თეატრში გამართული საღამო მეტათ საინტერესო იყო თავის... უარყოფითი – და მით მეტათ დამბასიათებელი – მხარეებით. ამ საღამოს ჩვენმა „კეშმარიტ-ქართველმა“ ინტელიგენციამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა თავისი გონებრივი ავლა-დიდების სრული სიკოტრე; ერთხელ კიდევ მისცა თავის თავს „სიღარიბის მოწმობა“...

ამ საღამოსაც, როგორც ჩვეულებრივ, იგივე დაკადენტურ-სიზღვლიური, მხარეების მხრით მეტათ საეჭვო ღირსების ეტიუდები, იგივე უაზრო იგავ-არაკები, იგივე „მწველი თვალებისა“ და „ლი მერდის“ შემამკობელი ლექსები... გამონაკლზე, როგორსაც შეადგენდა ბ. ვაჟაფშაველა, არ ვლაპარაკობთ...

ჩვენ არა გვვინია, საქმისთვის რაიმე ეშეელათ მათ, რომლებიც ვერ გამოცხადდენ...

რა გვითხრა თვით „პრემიერმა“, ბ. რობაქიძემ? გვითხრა, „ვეფხვის ტყაოსანი“ სერიოზული ნაწარმოებია, მასზე ბევრი უნდა ვილაპარაკოთ, მე კი სულ „რაღაც ათი წუთი მაქვს ხელთო“... მაინც დაგვპირდა, „ვეფხვის ტყაოსანის“ „სულზე“ ვილაპარაკებო. და ველაპარაკა... თითქმის მთელი საათის განმავლობაში... გველაპარაკა ჩვეულებრივი ფართი ფურთობით, ააყენა ჩვეულებრივ სიტყვების კარიანტელი, მოყვა ცისას, ბარისა... „ვეფხვის ტყაოსანში“, ელლინიური სულიაო, გაჰკრა-გამოკრა „პატრიოტულ“ სიმებს და დაათავა მით, რომ „ვეფხვის ტყაოსანს“ დავიწყებას ნუ მიცემთო.

*) იხ. გომისონი, „Проблемы бедности и безработицы“. стр. 29.

საინტერესო იყო ბ. გომართელის კრიტიკული ეტი-
ული ვ. ორბელიანზე, მაგრამ ამაზე ქვევით.

ახლა კი ორიოდე სიტყვა ერთ, მეტათ დამახასიათე-
ბელ მოვლენაზე:

ამ ერთი წლის, განმავლობაში თფილისში რამდენ-
ჯერმე გამოიცა ქუჩური ბრიული: „არ შეცივდეს, ბა-
რა ჟავან!“ ჩვენ გვევინა, რომ ყოველი, რამდენიმეთ მა-
ინც რიგიანი ადამიანი საჭიროთ დაინახავდა ასეთი, უკა-
ცრავათ პასუხია, „ნაწარმოების“ წინააღმდეგ ბრძოლას.
მაგრამ... პოი, საკვირველებავ! ბ. „ფილოსოფოსისა“ და
„საქართველოს თვალის“ რჩევით გამოდის საქართველოს
„ამომავალი მზე და ვარსკვლავი“ ი. გრიშაშვილი და კი-
თხულოს ამ, როგორც სჩანს, თავის „ნაწარმოებს“.
დამსწრე „მაღალი საზოგადოება“ აღტაცებაში მოდის და
აეტორ-დეკლამატორს ცხარე ტაშის ცემით აჯილდოვებს...
ქუჩისთვის დაწერილი ლექსები მოსწონს „მაღალ საზო-
გადოებას“, ტაშ უკრავს, აქებს და აღიდებს მის ავტორს.
„ქუჩის ბიქებისა“ და „მაღალი საზოგადოების“ გემოვნე-
ბა ამ შემთხვევაში ერთვარი გამოდგა!..

ჩვენ გვებრალება ისეთი ახალგაზია, რომელიც ასეთი
იდამიანების გემოვნების მიხედვით ამუშავებს კალაშს და
რომელიც ისეთ წრეში ტრიალებს, საცა „ბარაშეასებუ-
რი“ ნაწარმოები ნორმალურ მოვლენათ მიაჩინათ!...

ახლა ორიოდე სიტყვა ბ. გომართლის შესახებ.

დღეს თითქმის ყველასათვის ცხადია, რომ ბ ნი ივ.
გომართელი ამ უკანკასკნელი 4—5 წლის განმავლობაში
თანდაცან იხრება მარჯვნით. მაგრამ როგორ უყურებს
ის „ძველ ტაძარს“, ამაზე გარკვევით არაფერს გვეუბნება...
აღნიშნულ საღამოს, მართალი მოგახსენოთ, მშვე-
ნიერო სანახავი იყო ბ. გომართელი რობაქიძის «ოჯაში»,
„ბარაშეას“ ავტორისა, მეტრეველისა და სხვათა გვერ-
დით.

მაგრამ ყველაზე საინტერესო,—ეს მისი «მამული-
შვილური» სიტყვებითა და «პატრიოტული» ფრაზებით
შეზავებული ლექცია იყო ვახტანგ ორბელიანზე.
სამწუხაროთ, ადგილი ნების არ გვაძლევს ლექციის
შინაარსზე დაწვრილებით შევჩერდეთ და იძულებული
გართ შევქოთ მის უმთავრეს დებულებებს.

ვ. ორბელიანი ჩამომავლობით არისტოკრატი იყო,
შიმართულებით კი .. დემოკრატიო, განაცხადა ლექტორ-
მა. ამის დასასაბუთებლით მან მოიყვანა პოეტის ერთი
ლექციი, საცალაპარაკია, ქვეყანის მეფე და ხალხი უნდა
განაგებდესო.

მაგრამ, რომ უფრო დავერწმუნებინეთ ვ. ორბელია-
ნის დემოკრატობის შესაძლებლობაში, ბ. გომართელმა
გააკეთა ექსკურსია ისტორიაში და აღნიშნა, თუ ზაღალი
კლასების წევრები როგორ გამოდიოდენ დაბალი კლასე-
ბის „ნტერესების დამცველათ. მაგალითად მოიყვანა მარქ-
სი, ენგელსი, სენიმონი, ფურიე და სხ... ჩვენი აზრით
აქ ძირითადი სიყალდეა. ჯერ ერთი, განა შეიძლება ერ-
თი თუ ორი ლექსით ადამიანის დემოკრატობის დამტკი-
ცება? მეორე, ვ. ორბელიანი მაშინ რომც ყოფილიყო
ქვეყნის მეფისა და ხალხის მიერ გამგებლობის მომხრე,

განა ეს იმას ამტკიცებს, რომ იგი კონსტიტუციურული უ-
წესწყობილების მომხრე იყო, როგორც ეს ჩემი განვითარებულ
თელმა აღნიშნა? არა, ვინაიდან ორიოდე ლექსით არ
მტკიცდება დემოკრატობა, მეფისა და ხალხის მიერ ქვეყ-
ნის გამგებლობის აღიარებით არ მტკიცდება ვ. ორბე-
ლიანის კონსტიტუციონალისტობა თანამედროვე მნი-
შვნელობით, რადგან ის სულ სხვა გვარ გამგებლობას
დამღეროდა მაშინ. შემდეგ. ძირითადი სიყალდეა აგ-
რეთვე მარქს-ენგვალისისა და ვ. ორბელიანის შედარე-
ბა. აბა, გვითხარით ერთი: სად მეცნიერ-ფილოსოფო-
სები, რომელებმაც მთელი თავისი სიცოცხლე, სული და
გული მტლეთ დაუდეს პრილეტარიატს, რომლებმაც ამ
კლასისთვის უარყვეს ყოველივე პირადი, და სად გე-
ნერალი, რომელმც მხოლოდ ერთხელ სიბრალულის
თვალით გადმოხედა ხალხს და ამისთვის ფრჩილიც კი არ
დაშავებია? ნუ თუ არ იცის ბ. გომართელმა, რომ ამ ორ,
სულ სხვა და სხვა ჯურის პირთა ერთ კატეგორიაში თა-
ვის მოყრა დანაშაულობაა?..

ვ. ორბელიანი შესტრუდა სამშობლოს, ის დასტი-
როდა საქართველოს გაუბეღურებასთ, გვეუბება ლექ-
ტორი და მას ეს გარემოება ისე ხიბლავს, ისე „აღტაცე-
ბაში მოყავს“, რომ „მზათ არის შესახოს: ვახტანგ! ვა-
ტანგ! რა დიადია შენი მიზანი! რა იქნებოდა, რომ ყვე-
ლა ბიუროკრატი შენებრ ფიქრობდეს!“

თურმე ყველა ქართველ ბიუროკრატს რომ ვახტან-
გივით სამშობლო ყვარებოდა, მაშინ... როგორ გაბე-
ნიერდებოდა თურმე ტანჯული სამშობლო!!..

ლექტორის სიტყვით, ვ. ორბელიანს სამშობლო უყ-
ვარდა ისე, რომ რაც არ უნდა გექნათ, ის მაინც „ნამ-
დვილ ქართველათ“ დარჩებოდა. მაგრამ საქართველო
მაინც დაცემული ყოფილი დღეს. და ის, აქ ბ. გომარ-
თელს უჩიუდება „პატრიოტული“ გული და ოვალ-
ცრემლიანი კითხულობს: „ნუ თუ სამშობლო აღარ
იღსდგება?..“ საერთოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ის
ხშირათ იმეორებს სიტყვა „სამშობლოს“, მაგრამ ერ-
თხელიც არ შედის იმის განხილვაში, თუ როგორ
ესმის მას ეს სიტყვა. ის არ აღნიშნავს, რომ სამშობლო
დღევნდელ კლასობრივ ქვეყანაში ყველა კლასს ერთ-
გვარათ არ ესმის; ის არ ამბობს, რომ სამშობლო გაბა-
ტონებულ კლასებს სხვა გვარათ ესმის და დაჩაგრულებს
კიდევ სულ სხვა გვარათ; თავად-აზნაურობის „სამშობ-
ლო“ ნაკლებათ გავს ბურუუზის „სამშობლოს“, პრო-
ლეტარიატის „სამშობლო“ არსებითათ განსხვავდება ორი-
ვეთა „სამშობლოსგან“. არ აღნიშნავს ამას, არ უსვამს
ხას „სამშობლოს“ გაგებაში კლასობრივობის საფუძველს
და მხოლოდ გვეუბნება: სამშობლო აღსდგება და მას
„ჩვენი გული აღადგენსო!“ რასაკვირველია, აქაც არ
აზროვნობაა, მაგრამ ამას ფანტაზის ბ. გომართელის შემ-
ცევი უკანასკნელი სიტყვები: „სიყვარული სამშობლოსი
ჩვენც ისე გაფიხადოთ, როგორც ეს ვ. ორბელიანმა
გაიხადა“ და სამშობლო აღსდგებაო!

აი, აქ კი აზრი ნათელია. ვ. ორბელიანი მეცნიერ-
ტე საუკუნის ნახევარში დასტიროდა თავად-აზნაურულ
სამშობლოს, რომლის ნაშთსაც ის პოვებდა წარსულში,

და ჩვენც, მეოცე საუკუნეში, თურმე უნდა ვეცადოთ ასეთი თავად-აზნაურული სამშობლოს აღდგენას!...

სწორეთ ასეთი მცნებების აღიარებით თუ მიიღება ჩვენში „მამული შვილობის დიპლომი“ და ამ მიზანს უკვე მიაღწია ბ. გომართელმა...

სალგაბდა.

ეკონომიკი ცხოვრების განვითარება.

IV.

როგორც წინა წერილის დასასრულ აღვნიშნეთ, პირველ-ყოფილი ადამიანი უმიზნო, უბლანო და უორგანიზაციონი წარმოების ფორმას თანდათან თავს აღწევდა და ეკონომიურ ცხოვრების მაღალ საუკეთესო გადაღიოდა. მის ცხოვრებაში ნელ-ნელა ცხოვრელურ ინსტიტის და მიღრეკილების მაგივრობა აზროვნებამ დაიკავა, ცხოვრებაში ტვინის ამოქმედება შეიტანა. ახლა იგი თავის ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებას მოფიქრებულათ, გამიზნულათ, წინათვე გათვალწინებულ მეთოდის საშვალებით იქმაყოფილებს. აქნობამდე პრიმიტიული ადამიანი ბუნების მიერ მუქთათ, უშრომლათ მოცემულ ჭინახულით, ძირის მოსავალით იკვებებოდა, ამიტომაც იგი სავსებით მისკან იყო დამოკიდებული, ახლა კი ხელოვნურათ ამრავლებდა მიწის მოსავალს და მით უზრუნველ-ყოფდა თავის არსებობას. აქნობამდე იგი გარეშე ბუნების მონა იყო, შემდეგში კი ადამიანი თანდათან გაბატონდა ბუნებაზე და მიზნის შესაფერათაც ისარგებლა მით.

სწორეთ აქედან იწყება, ვიმეორებთ, ადამიანის ეკონომიური ცხოვრების ახალი, უმაღლესი, უფრო განვითარებული ხანა, ახალი ეკონომიური ცხოვრება; სწორეთ ამ დროს ადამიანის სულიერი შემცნება, ადამიანის აზრი, მუდმივ შეუდრეველ და ეკონომიურ გაჭირვების მეოხებით მიღის თანამეზროვე შრომის პრინციპამდე; ადამიანის გონება მიხვდა და შეიგნო გამიზნულ-გაბლანულ ეკონომიურ წარმოების, ეკონომიური ცხოვრების დიადი მნიშვნელობა, მისი დიადი დანიშნულება. შეითვისა ეკონომიური პრინციპის სარგებლიანობა, გაიგო, რომ პატარა შრომით, პატარა საშვალებით ბევრი ნაშრომის, ბევრი ნაყოფის მომკა-მოხვეჭ, მეტათ ხელსაყრელია მისთვის და უკეთო მოით, უზრუნველ ზედმეტ შრომის ენერგია-ძალის დახარჯვა კი საზარალო და მავნებელია. მის თავში უკვე განმტკიცდა ეკონომიური პრინციპის დიადი მნიშვნელობა; იგი ახლა კარგათ აფასებდა შრომის მომფრთხილებელ საწარმოვო იარაღების სარგებლიანობას, გაიგო შრომის ორგანიზაციის მნიშვნელობა, შრომის განაწილების და შრომის შეერთების ეკონომიური ხელსაყრელობა. თაოქმის ყველა ის წარმატებანი, ტეხნიკური გაუმჯობესებები, რომელსაც კი თანამედროვე ადამიანი ტეხნიკის განვითარების მაღალ საფეხურზე ხედავს, ემბრიოლოგიურათ ჩასახული იყო ჩვენ მიერ დასახელებულ ხანაში; აქედან იწყება საწარმოო ძალთა განვითარების ისტორია, აქ ჩაეყარა საძირკველი. შემდეგ ზედმეტ ღირებულების წარმოების ეპოქიდან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ პირველი ხანის ეკო-

ნომიური შრომა, შედარებით პირველთან, ნაკლებათ ნაყოფიერი იყო, შრომა ნაკლებ ნაშრომის იძლეოდა და მომ იარაღების განუვითარებლობის გამო პირველ-ნაშრომის ადამიანის ეკონომიური შრომა იმდენ ნაყოფს არ იძლეოდა, რომ მის რეგულირებულ და გამუდმებულ მოთხოვნილებას ზედმეტათ მორჩენოდა, აღმატებოდა. ამიტომაც, მაშინ ნივთიერი სიმდიდრე ნაკლებათ იყო დაგროვილი, შედარებით ნაკლებათ იყვნენ დიდიდრები.

ჩვენ მიერ დასახულ-დასურათებული ეკონომიური შრომის ხანა პირველ-ყოფილ, ეგრეთ წოდებულ შრომის უეკონომიონ ხანიდან უმთავრესათ იმით განსხვავდება, რომ ჩვენ აქ უკვე ვხედავთ ნიმდვილ, თუმცა განუვითარებელ, შემუშავებულ ეკონომიის, ეკონომიურ წარმოებას. ეკონომიია, ეკონომიური წარმოება ეწოდება ისეთ წარმოებას, საცა ადამიანის შრომის ენერგია, შრომის უნარი წინდაწინვე მოფიქრებულ-მოსაზრებულ პლანით, ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ საგნების თუ ნივთების შეძენა-დაშემზღვებაზე იხარჯება. ეკონომიის, ეკონომიურ წარმოების განგარტება აშეარათ გვეუბნება, რომ ადამიანის მოქმედება, ადამიანის შრომა მხოლოდ მაშინ არის ეკონომიური, როცა იგი თავის მოქმედების დროს ეკონომიურ პრინციპით სარგებლობს, ეკონომიური პრინციპით ხელმძღვანელობს.

სიტყვა ეკონომია ბერძნულია. — ოიკოს ნიშნავს სახლს ოჯახის წარმოებას, ოჯახის თვალყურის მიღდებას, შენახას, რაც ოჯახში მოიპოვება და შეძენას — რაც იქ არ მოიძებნება.

ეკონომიური მოქმედება ნიშნავს მოფრთხილებაზე ენერგიის დახარჯვას. — რაც შეიძლება ცოტა შრომა დაიხარჯოს და ნაშრომი კი მეტი იყოს, — ასეთია ეკონომიური პრინციპის, ეკონომიური შრომის შინაარსი, ასეთია მისი დანიშნულება.

როგორც წინა წერილებში ვამბობდით, იყო დრო, როცა ადამიანი არ ყოფილა ასეთ ეკონომიური პრინციპით აღჭურვილი, ასეთი „ეკონომიური არსება“. აქედან კი ის აუცილებელი და შეუჩეველი დასკნა უნდა გამოვიყენოთ, რომ ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ ყოფილა ეგრეთ-წოდებული ეკონომიური პრინციპი. იყო დრო, როცა ნახევრათ ველური, ცხოლის მზავსი ადამიანი თავის ცხოვრებას. ეკონომიურათ არ აწარმოებდა, თავის შრომის ეკონომიურათ არ ხარჯვადა. ეკონომიური პრინციპი, მასასადამე, ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის, იგი შეძენილ-შეთვისებულია. ფაქტიურათ ეკონომიური პრინციპი აბსოლუტური ხასიათის არ არის, იგი ისტორიული მცნებაა, ისტორიული კატეგორიაა, კულტურული განვითარების შედევრია, პროგრესის ნაყოფია.

აქედან ცხადია ის დასკნა, რომ ეკონომიური შრომის აღმორძინება, ეკონომიური პრინციპის გაღვიძება, დღიური თავისი გაჩენისა, ერთ დონეზე არ გაჩერებულია; იგი პირველათვე დღევანდელ სისწორ-სიმკაცრით არ მოგვილინებია, ასე განვითარებული და ყოველ მხრივ შემოსილი არ ყოფილა; პირველათ, დღევანდელთან შედარებით,

ძალიან დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა; ეკონომიურ შრო-
მას პირველ ყოფილ ადამიანის უკეთობით შრომის ხა-
სიათი ეტყობოდა. ღღესაც კი პრიმიტიულ ხალხებს, ამ-
ბობს ჰენრის ჰარპონცერი, აშეარათ შენიშვნათ, რომ ისი-
ნი ჯერაც ვერ შესჩვევიან რეგულიარულ შრომას, ძალიან
ეზარებათ მუშაობა, გაურჩიან საქმეს, ეკონომიურათ არ
ხარჯავენ თავის ძალას. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიანე-
ლებში მრავალი ისე ზარმაცი და ზანტია, რომ
თითონ არაუერს არ რგავენ, არაფერი არ მოყავთ, იმ
იმედით, რომ სხვები, ვინც შრომობს და მოყავს ძირის
მოსავალი, თავიანთ დამზადებულ-შენახულიდან იმათ გა-
უყოფენ-უთავაზებენ. ამგვარი ზენ ჩვეულება ღღესაც ბევრ
ხალხში მოიპოვება, რომელიც, რასაკვირველია, ინდივი-
დუმების და საერთოთ მთელი ჯგუფების შეძენის და მო-
ქმედების უნარს კლავს და მწასთან ასწორებს. მაგრამ
ეს უფრო ატავიზმის კანონის ნაყოფია და არა ჩვეულე-
ბრივი მოვლენა. დიდი უმრავლესობა პრიმიტიულ ხალხე-
ბისა ეკონომიურათ ხარჯავს თავის შრომას, ეკონომიური
შრომის განვითარება დღითი-დღე წინ მიღის, მკვიდრ
ნიადაგზე მყარდება.

რაც შეეხება დასახელებულ ხანის ეკონომიზმის შინაარსს, იქ აუკაციას (მოგროვებას) ჯერ კიდევ საპატიო ადგილი ექირა. დიდი ხნის განმავლობაში აღამიანების შრომა ჯერ კიდევ ბუნების მიერ თავისუფლათ მიცემულ ნაყოფის მოგროვება-მოკრეფას უნდებოდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა აღმიანი ყველა მოგროვილ-მოკრეფილს უმალვე კი არ ხსარობდა, წუთიერ მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლათ კი არ იძენდა, არამედ მისი ასეთი შრომა ახლა მომავალზე ფიქრით იყო გამოწვეული, მომავალზე ზრუნვასთან იყო შეკავშირებული. როცა მას ზედმეტი სარჩო-საბადებელი მოკრიფებოდა, მომავლისთვის ინახადა და როცა არ ექნებოდა, მაშინ მოიხმარდა. ერთი სიტყვით, გულუხვობის დროს საჭმელის შენახვა და უქონლობის დროს მისი გამოყენება! აი, ამ მოფრთხილების და შენახვის პრინციპის გაღვიძებასთან ერთათ იღვიძებს და ვითარდება უმ, მშრალ ნაყოფის, მასალის კონსერვებათ შენახვა, გადამუშავება, განსაკუთრებით ისეთ სანოვაგესი, რომელიც დიდხანს არ ძლებდა და მალე ფუჭდებოდა. ამერიკის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კუნძულის მცხოვრებ ინდიანელებისათვის თევზი და ხილეულობა მთავარ საზრდოოთ ითვლება. იქ მთელი ზაფხულის განმავლობაში ინდიანელები სხვა-და-სხვა ჯიშის თევზეულობას სახლებში ბოლოზე აშრობენ და ზამთრისთვის ინახავენ. ზაფხულში ყველანაირი საჭმელი ბლობათ მოიპოვება, ინდიანელებიც ზაფხულში გამალებულნი აგროვებენ და ცივ ზამთრისათვის კონსერვებათ ალაგებენ. ასევე აშრობენ და ზამთრისთვის ინახავენ სხვა-და-სხვა ხილეულობას და მცენარეულობას.

ძალიან ნელა, ოკუპაციასთან ერთათ ვითარდება და
უქმებელი დევება **წარმოება**. სასოფლო მეურნეობა, ანუ სწო-
რეთ რომ ვსთვეთ — მიწის დამუშავება, ხელოსნობა და
ვაჭრობა პრიმიტიულ ადამიანების ეკონომიკურ ცხოვრე-
ბაში თანდათან დიდმნიშვნელოვან აღავს იქნება და და-
ბოლოს გადამზევეტ წარმოების დარჩევათ ხოყიბოდა. მას

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ.

მუშათა გავშირები თვილისში.

(ისტორიული მასალა დურგალთა (კხოვრებისან),

თუმცა ზოგიერთები მოგვითხობენ, თითქმ დურ-
გალთა მოძრაობა თფალისში დაწყებულიყოს 1900 წ.,
ხოლო 1905 წ. მათ ხელი მოეკიდოთ კავშირების შედ-
გენა-მოწყობისთვის, — მაგრამ სინამდვილეს თუ დავაკვირდე-
ბათ, დავინახავთ, რომ ეს არ არის მართალი. საქმე იმა-
შია, რომ ჯერ კიდევ 1877 წლის უურნალ-გაზეთებში
ვიპოვეთ დურგალთა მოძრაობის შესახებ პატარ-პატარა
ამბებს.

რასაკირველია, სხვა და სხვა დროს მუშათა მოძრაობას და კავშირებს სხვა და სხვა ხასიათი ქონდათ. ასე იყო ყველგან, ასევე იყო ჩეგრშიც. მაგრამ მიზანი მას მოიამ

ერთი ქონდა: ეკონომიური ცხოვრების გაუზჯობესება და ამით ადამიანის ნივთიერი, გონებრივი და სხ. მოთხოვნილებების დაქმაყოფილება.

ჩვენი აზრით, ისტორია მომავლის გზა და ხადია. ამიტომ არც უნდა დავივიწყოთ ის ისტორია, რომელმაც ჩვენ დაგვაძალა, თვალები აგვიხილა; არტომაც საჭიროა, იმის ცდაში ვიყვეთ, რომ ისტორიას რაც შეიძლება ნათელი რვალით შევხედოთ. თუ წარსულში შეცდამა განგვიცდა და ამით ცხოვრებას ჩამოვრჩნილვართ, — ეს უნდა აღინიშნოს. ამას აწმუნ გაითვალისწინებს, მასალათ გამოიყენებს, რომ წარსულის შეცდომა აწმუნში აღარ გაიმეოროს და ისტორიის შემწეობით მომავალში მცირე შეცდომას უშვებდეს.

აი, ამიტომ განვიზრახე ზოგიერთი საყურადღებო აშები თფილისის დურგალთა ცხოვრებისან ვაუშეუ შეითხველთ. მე ბედნა მარგუნა მათში აღზრდა და მათშივე ტრიალი და ეს საშვალებას მაძლევს თვით ჩემ მერ ნახულ-გაგონილი ცნობები აღვნიშნო.

თუ დავუჯერებთ ზოგიერთ ძველ ხელოსნებისა — და მათ შორის მეჩუქურომე-მშერლის, ი. დავითაშვილის — გადმოცემას, დურგალთა და სხვა მ. ესათა პროფესიაში მოძრაობა და შეკავშირების სურვილი უკვე 1865 წლიდანვე ყოფილა. ამ ხელოსნების სიტყვით, 1867 წელს მთელი თფილისის ხელოსანთა პროფესიის ამქრების მოწინავე მუშა-ხელოსნებს მოუყრიათ თავი თრთავალის ბაღშა, სადაც „საღმთოც“ ქონიათ და აქ ჩამოუყდიათ ლაპარაკი ხელოსანთა კლუბის დაარსების შესახებ. ბევრი თათბირის შემდეგ მიუნდვიათ სამი პირისთვის წესდების შემუშავება და დასამტკიცებლათ დიდ შთავრის — მიხეილის-თვა-წარდგენა. ეს სასრულეშიაც მოუყვანიათ. წესდების ძალით თვითეულ წევრს უნდა ეხედა წელიწადში 6 მანეთი საწევრო ფული. ამ საწევრო ფულით და ქალაქის დახმარებით კიდევ დაუქარსებიათ მათ ხელოსანთა კლუბი, სწორეთ იქ, საცა ახლა საზაფხულო საკრებულოა. კლუბში მოიპოვებოდა თურმე მაშინდელი დროის შესაფერი წიგნთ-საცავ-სამკითხველო, სცენა, სამუსიკა, სამზარეულო, სასადილო და სხ. ამ კლუბში დროის შესაფერ გონებრივ საზრდოს შექნა შექდლო ყველა წევრს თავის ოჯახობით. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, რაღაც მიზეზებისა გამო, მუშა-ხელოსნები თითო-თითოთ გაუდევნიათ კლუბიდან და ბოლოს ეს ხელოსნების მიერ მოწყობილი დაწესებულება მსხვილ ვაჭრებსა და ჩინოვნიკებს დარჩენიათ ხელშო...

1870 წელს თფილისში დაიწყეს სახელოსნო სკოლის იგება, სადაც მუშა-ხელოსნები ამქრებით თითო-თითოლა დღეს უფასოთ მუშაობდენ. საცა ახლა სახელოსნო სკოლაა აგებული, იქ წინათ ოლრო-ჩოლრო ადგილი იყო და მის გასასწორებლათ ხელოსნები ამქრებით გადიოდენ თავინთი ცროშებით და დაფა-ზურნებით. მედროშები და მეზურნეები მაღლობზე იღენ და დაფა-ზურნას უკრავდენ საჭიდაო ხმაზე. მათ ხელოსნები ბანს აძლევდენ ბარნიჩაბ-წერაქვებით, მძლავრათ ეჭიდებოდენ შიწის დიდრონ ბელტებს და მტკვარში ისროდენ, სკოლის ადგილი კი სწრაფათ სწორდებოდა, იწმინდებოდა და სუფთავდებოდა.

ამ ილაგას ერთი ორი დღე მეც ვიმუშავე. აი, ეს სისტემული ერთი საერთო საქმეთაგანი, საერთო გაკეთებულობა მუშაობის მათ შეი-ლები აღიზრდებოდენ.

1877 წ., 1 იანვარს შესდგა დურგალთა პროფესიის კავშირი. ამ დროს თფილისში იყო ერთი სახელგანთქმული სახელოსნო, რომელიც ეკუთნადა ფ. ზეკურს. სახელოსნოში მუშაობდა ასამდე ქარგალ-შეგირდი. ეს მაშინ პირველი სამრეწველო დაწესებულება იყო, და აი, ამ სახელოსნოში მომუშავე ხელოსნებს მრავალჯერ ქონიათ ლაპარაკი თავიანთ ჭირ-ვარამხელაც. პირველათ ამ სახელოსნოს მუშებმა განიზრახეს კიდევ შეკავშირება. ამ შეკავშირების მიზანიც, სხვათა შორის, ის იყო, რომ დაავარებინათ შინაური სამკითხველო და ლამ-ლამბიჯ, „შაბაშის“ შემდეგ და კვირა-უქმებითა შეერგებილიყვან დანიშნულ ალაგას და ეკიახათ მაშანდელი დროის ლიტერატურა. ამ მიზნის განხორციელებაც სისტემებში მოიყვანეს. პირველათ კავშირში ირიცხებოდა, განურჩევლათ ქარგალ-შეგირდებისა, სულ 15 კაცი. არჩეულ იქმნა 6 კაცისაგან შემდგარი კომისია, 4 ქარგალისა და 2 შეგირდისგან. კომისიაში მოყვენ: ი. დავითაშვალი, ვ. გოცირიძე, მ. ჩილოშვილი, ს. გამრელიძე, ლ. კასრაძე და ნიკო მეგრელი. პირველ სას მიენდო სამკითხველოს მოწყობა, საწევრო ფულის მოკრეფა, კვირა-უქმებებში კავშირის წევრებთან წიგნებისა და გაზეთების კითხვა. საწევრო ფულს თვითეული წევრი თვეში იხდიდა 20 კაცების საერთო „დახლის“ (კასის) სასარგებლოთ. ამ საწევრო ფულით ამხანაგობას უნდა შეეძინა თანამედროვე ლიტერატურა. 1878 წლ. ივნისის 15-მდე მოეწყო სამკითხველო და კავშირის წევრთა რიცხვიც 80-დე ავიდა. კავშირს, ზეიცერის სახელოსნოს გარდა, ემატებოდა წევრები სხვადა-სხვა სახელოსნოებიდან.

რა პირობებში იყვენ მაშინდელი ქარგალ-შეგირდები? რადგან თვალ-საჩინო სახელოსნო ზეიცერს, ქონდა ამიტომ დავიწყოთ მისი მუშების მდგომარეობიდან.

ზეციერს მუდამ ყავდა 15—20 შეგირდი. შეგირდი უნდა ყოფილიყო 15 წლისა და 4—6 წლის განმავლობაში არავითარ სასყიდელს არ მიიღებდა, მხოლოდ ხარჯი და ტანისამოსი ხაზეინისა უნდა ყოფილიყო. ტანისამოსის ფულს აძლევდა ხაზეინი პირველ წელს თვეში ერთ მანეთს და მეორე წლიდან კი ვიდრე ვადის გათავებამდე — მანეთ-ნახევრიდან — 2 მანეთამდე. შეგირდების საჭმელი ისეთი იყო, როგორსაც კაცი ძალასაც კი არ აქმევს. კერძში მატლები და ათას გვარა მწერ-ბუზები ჩვეულებრივი იყო. პური შავი, მიწის ფერი, თოთქო ტალახიათ. გასტეხდი პურს და შიგ რას არ ნახავდი: ჩხირ-ნაფორი, თოკი, ბუზი და სხ. მაგრამ ზეიცერს ასეთი საჭმელი მანც კარგი ეგონა და თავის მეფეურნეს მუდამ ღანძლავდა და ეჩეულებოდა: კარგ პურს აცხობ, შეგირდები ბევრსა სჭამენ და ამით ზარალი მეძლევაო. ყველა ამას დაუმატეთ დღეში 15—16 საათის სამუშაო დრო და მაშინ ნათლათ წარმოიდგენთ შეგირდების ყოფა-ცხოვრებას. იქნება ბევრმა არ დაიჯეროს ზეიცერის ასეთი საჭკილი, მაგრამ ვინც კი გამოცდილია ძველი დროის შეგირდო-

ბაში და განსაკუთრებით ზეცერთან უმუშავნია, იმას მტკაცება აღიარ დასკირდება.

ამ გარემოებაში მყოფი შეგირდები, ხანგრძლივ მუშაობისაგან დაქანცულ-დამშეულები, რასაკვირველია, რომ ათას-გვარ უზნეო საქციელს ჩაიდენდენ. და მართლაც, თუ ზაფხული იყო, დამ-დამობით მოედებოდენ ხოლმე დღევანდელ მიხეილის ქუჩაზე ხილიან ბაღებს, იპარავდენ ხალს, ეზიდებოდენ ტომრებით და პურზე სცვლიდენ. ამით დროებით მაინც იძლობდენ დამშეულ კუში, თუმცა ბევრს იაფათ არ უჯდებოდა ასეთი საქმე და ამისთვის ხან მექალე, ხან პოლიცია და ხან თრთონ ზეცერიც ლაზათიანათ მიბეგვავდა ხოლმე. თუ რა აი-ძულებდათ შეგირდებს ქურდობა ჩაედინათ, ამას არავინ კათხულობდა. მხოლოდ უწყალით სცვლენ შეგირდებს, ან სახლში ატყვევებდენ. ზეცერს, მაგალითათ, თავის სახლში ქონდა სატუსალო კამერა გამართული და დამნაშავე შეგირდა 3—4 დღით ამწყდევდა მშეურ მწყურვალს, ხან კი პოლიციას გადასცემდა.

პ. ჩ-ლი.

(შემდეგი იქნება).

თეატრი და ხელოვნება

სახალხო ხახლი.

ბა' ულ კვირას „წრ ს“ სცენის მოყვ რეკმა ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაცილებრთ წარმოადვინეს ოსტროვსკის 5 მოქმედებიანი პიესა — „შემოსავლიანი ადგილი“. რამდენადაც გვახსოვ“, ეს პიესა მეორეთ მიდის ამ სეზონში. ეს კი არ არ ის მოსაწონი, რადგან დღეს სახალხო ხელოვნებან უფრო სხვანაირ პიესებს უნდა გვაჩვენებდენ. ჩვ.ნი აზრით, „შემოსავლიანი ადგილი“ ჩვ.ნი დროისთვის თითქმის დამველებულია. ვუიქრობთ, კ.დოვა მეოცე საუკუნის ტიპი არ არის. ვიზენესკია, იუსტის, ბელოგუბოვს და კუკუშკინას ვიტონბოთ... ახალი, ცოცხალი, მომავლის შვილები! აი, ამათი წახვა გვესაჭირობა და აქეთვენ უნდა იქნეს უმთავრესი ყურადღება მიქციული. „შემოსავლიანი ადგილი“ კი ხანდისხან, იშვიათათ.

პიესა თუმცა გვარიანათ ჩატარდა, მაგრამ მაინც ეტყობოდათ რაღაც ერთგვარი უხალისობა. არ ვიცით, რას მივაწეროთ! ნუ თუ დაღლილობას?

კარგი პოლინა იყო ქ-ნი გოგოლოვილი. არა უშვავდა იულიანას როლში ქ-ნ თ-მარაზვილს. სუსტობდა ბ-ნი ს. პერანოვა. ჩევულებრივ მშენებირი კუკუშკინა იყო ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა კარგი აკმი აკმითი იყო ბ. გოცირიძე, თუმცა მეტს კი მოველოდით. დანარჩენთავან, ზოგი თავის ალაგას იყო და ზოგიც ან-სამბლს ხელს არ უშლიდა.

ხახლი ბლობათ დაეწრო. წარმოადგენა დაიწყო 9 სათზე, რაც, არამც-და-ა-ამც დასაშვები არ არის და ვამგეობამ ამას სა-თან-დო ყურადღება უნდა მიაქციოს.

შეცდომების გასრულება.

მოგზაურის მეოთხე ნომერში, მეხუთე გვერდის პირველ სვეტზე დაბეჭდილია: გათავაზულათვე უნდა ჩაითვალოს არჩევნები ვენგრიდან. უნდა იყოს: გათავაზულათვე უნდა ჩაითვალოს არჩევნები ისპარიაში. ასეუთ მომავალში მოხდება არჩევნები ვენგრიდან.

„მოგზაურის“ რედაქციისაგან
იშ ხელის მომწერთ, რომელთაც მხოლოდ უკავშირებულ გადახდილი, უქმდება ნომერი ადარ გაეგზავნება, თუ ხელი ფულს არ შემთირანება.

რედაქტორ-გამომცემელი კ. ფ. მგელაძე.

განცხადებანი:

საკოლონიო ამხანაგობა

ობიროვნები

ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომარებელ საოზგადოების საქონლის ჩამბარებელი
ამით აუწყებს მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტრათ, რომ 11 მარტიდან გაიხსნა შეკერილ ტანისალის გაცოლილება.

ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტკულიანული ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუფაჭირებლათ, კონკურენციის გარეშე. მაღაზია მოთავსებულია გოლოვნის პროსპექტზე. № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5).

თურილის კალაკის საგარეოს

დადგენილებით ამა წლის 22 თებერვლიდან ქალიქ თფილისში საქალაქო თეოთმართველობის შემოღების აღსანიშნავთ გადაწყვეტილია ქალაქის ლარიბ მცხოვრებთ აპატიონ შეფასებითი გადასახადის „ნედორიკები“, რომელთა უძრავი ქანება დაუსაებულია არა უმეტეს 2000 მ., აპატიონ იგრეოვე საცხენო და სატრაქტიორ გადასახადთა „ნედორიკები“ — სულ სამივე ზემოხსენებული დარგის გადასახადებიდან აპატიებენ 20,000 მანეთს.

აცნობებს რა ამას ქალაქის გამგეობა, წინადაღებას აძლევს ვისაც სურს ისარგებლოს ხსენებული შელავათით, — მიმართოს განცხადებით გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ამა წლის 1 ივლისამდე.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის ყოველ-დღიური სპასლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური გამოცემის გარდა გაბჭთს ერთ-ერთ კვირული სურათებიანი დამატებება.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით — 4 მან. 80 კაპ., ერთი თვით — 80 კაპ.

ცალკე ნომერი უცვლებან ერთი შაბური დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ აღრიცით: თფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12, Семену პაშალიშვილი.